ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 67

27 მარტი
"---"-------- 2015 წ

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში არსებული ზოგიერთი მიწისქვეშა გადასასვლელის შპს „უძრავი ქონება - თბილისისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის გაცემის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 იანვრის №14 განკარგულებაში ცვლილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და მე-6 პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის" მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ქ. თბილისში არსებული ზოგიერთი მიწისქვეშა გადასასვლელის შპს „უძრავი ქონება - თბილისისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე თანხმობის გაცემის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 იანვრის №14 განკარგულებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

ა) დანართ 1-ს დაემატოს 42-ე პოზიცია, ხოლო პირველი და მე-10 პოზიციები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

ბ) დანართი 2-ის პირველი, მე-2 და მე-4 პოზიციები ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

3. საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი 1

N	მისამართი	ხაზოვანი ნაგებობის გრძივი მეტრი	ქ. თბილისის თვითმმართველზე რეგისტრირებული შიდა ფართი	საკადასტრო კოდი	შენიშვნა
1	კოსტავას ქუჩა ფილარმონიის წინ	150,05 გრძივი მეტრიდან 530,06 კვმ შიდა ფართის ნახაზი 1.1-ში მითითებული დაშტრიხვის შესაბამისი გრძივი მეტრი	580,06კვმ შიდა ფართიდან 530,06 კვმ ნახაზი 1.1-ში მითითებული დაშტრიხვის შესაბამისად	01.15.03.010.012.01.521	
10	ორბელიანის მოედანი	265,11	1820	01.18.03.011.005.01.508	
42	ვაგზლის მოედნის მიმდებარედ	37	215	01.02.008	

დანართი 2

№	კონტრაქტორი	ხელშეკრულების ნომერი სარგებლობის ფორმა	ვადა	ობიექტის მისამართი საკადასტრო კოდი ფართობი	წლიური ქირა	გადახდილი თანხები 2013		გადახდილი თანხები 2014	
						ქირა	პირგასამტეხლო	ქირა	პირგასამტეხლო
1	შპს "ზაგი" , სკ: 204402208 , ს. ჩიქოვანის 37, ბ6	14.07.2011 2011-07-14 იჯარა	2011-07-14 - 2021-07-14	ორბელიანისმოედანი , 01.18.03.011.005.01.508, 1820 კვ.მ-დან 673,00 კვ.მ; ,დ. გურამიშვილის გამზირი კ/თ საქართველოსთან , 01.00.418; კვ.მ:296.96, მესამე მასივი #3 , 01.00.417; კვ.მ:379.06	42500	42500	21,25	42500	
2	შპს "TCS" , სკ: 401953374 , ქ. თბილისი, რკინიგზის ვაგზლის წინა მიწისქვეშა მოედანი	01-7/15 2011-08-24 იჯარა	2011-08-24 - 2021-08-24	ქ.თბილისი, რკინიგზის ვაგზლის წინა მიწისქვეშა მოედანი , 01.00.580, 1629.23 კვ.მ-დან 292.42 კვ.მ; ტერენტი გრანელის ქუჩა, ხაზოვანი ნაგებობა გრძივი მეტრი - 32 , 01.00.49; კვ.მ:96.60,კონსტიტუციის ქუჩის ბოლოს; ხაზოვანი ნაგებობა გრძივი მეტრი 58; , 01.00.54; კვ.მ:217.65,ბუხაიძის ქუჩა , 01.00.55; კვ.მ:148.55	36000	36000	144	36000	
4	შპს "TCS" , სკ: 401953374 , ქ.თბილისი, რკინიგზის ვაგზლის წინა მიწისქვეშა მოედანი	ქნ14978 2011-11-22 იჯარა	. 2011-11-22 - 2021-11-22	ქ.თბილისი, რკინიგზის ვაგზლის წინ მიწისქვეშა მოედანზე (01.00.580) 1629,23კვ.მ-დან 130,2 კვ.მ	17000	17000		17000	